ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2817087

ნომერი: AR1435277

თარიღი : 27.08.2016

გაცემის თარიღი : 06.09.2016

გაცნობის თარიღი : 06.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი / ქალაქი თბილისი , დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მურად წკრიალაშვილი პ/ნ 59001016955
- გორი, სტურუას ქ.18

ორგანიზაცია:

- შპს "ხინმინ ინთერნეშენელ ინვესტმენტ გროუპ ლიმიტიდ კომპანი" კოდი: 404933088

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.07.2016 წ. №2673879 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 27.08.2016 წ. №AR1435277 განცხადებით მომართა მოქ. მურად წკრიალაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.07.2016 წ. №2673879 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 05.07.2016 წ. №2673879 ბრძანებით №01.72.14.034.212 (2500 კვ.მ) და №01.72.14.034.629 (2620 კვ.მ) საკადასტრო ერთეულებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული №01.72.14.094.484 ფართობი – 5120 კვ.მ.), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულის მონაცემების ცვლილების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია. განმცხადებელი ასევე, ითხოვს სამსახურის 05.07.2016 წ. №2673879 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე) დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.07.2016 წ. №2673879 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობა (საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.07.2016 წ. №2673879 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი (რეგისტრაციის №882016453764) საჯარო რეესტრიდან;
3. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.07.2016 წ. №2673879 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-5120 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-№01.72.14.094.484;
4. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.07.2016 წ. №2673879 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულებად დაფიქსირდეს: საცხოვრებელი და საზოგადოებრივ-საქმიანი;
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.07.2016 წ. №2673879 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge